

შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2018 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	19
5. წინა წლების რეკლასიფიკაცია.....	19
6. ძირითადი საშუალებები	20
7. მარაგები	21
8. საგადასახადო აქტივი	21
9. ავანსები	21
10. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	21
11. მიღებული სესხები	21
12. მიღებული ავანსები	22
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
14. ამონაგები	22
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22
16. კომერციული ხარჯები.....	23
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	23
18. სხვა ხარჯები.....	23
19. პირობითი ვალდებულებები და აქტივები.....	23
20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	24
21. კაპიტალის მართვა.....	26
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	27
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ოლამ ჯორჯიას დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ოლამ ჯორჯიას (შემდგომში - კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ვინაიდან ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2018 წელს, არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას წლის დასაწყისისათვის და სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოვახერხეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღში მარაგების რაოდენობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ მარაგების საწყისი ნაშთები გავლენას ახდენს ოპერაციის შინაარსსა და შედეგებზე, ჩვენ ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას საჭიროა თუ არა კორექტირებები 2017 წლის ოპერაციების შედეგებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე. აღნიშნულ საკითხზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის მოდიფიცირებულია. ჩვენი მოსაზრება აგრეთვე მოდიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის რიცხვებისა და შესაბამისი რიცხვების შესადარისობაზე.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიასგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ ორგანიზაციის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 3,868,843 ლარი 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის და ამავე თარიღისათვის ორგანიზაციას ჰქონდა 5,090,645 ლარის უარყოფითი კაპიტალი. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ორგანიზაციის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიას ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიას უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის

ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შეეცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

9 დეკემბერი 2019

შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	8,515,432	7,860,625
არამატერიალური აქტივები		17,155	26,629
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,532,587	7,887,254
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	11,269,012	23,750,235
საგადასახადო აქტივი	8	666,859	204,403
ავანსები	9	251,984	865,481
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	243,135	355,416
სულ მიმდინარე აქტივები		12,430,990	25,175,535
სულ აქტივები		20,963,577	33,062,789
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,439,500	3,439,500
დაგროვილი ზარალი		(8,530,145)	(4,661,302)
სიულ კაპიტალი		(5,090,645)	(1,221,802)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	-	9,175,851
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	9,175,851
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	11,385,105	-
მიღებული ავანსები	12	14,643,263	24,492,448
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	25,854	616,292
სულ მიმდინარე ვალდებულებები		26,054,222	25,108,740
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20,963,577	33,062,789

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 9 დეკემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი _____

უფუქ ოზონგუნი

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული აუდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ოლამ ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	14	31,753,248	22,308,549
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(30,465,883)	(20,370,064)
საერთო მოგება		1,287,365	1,938,485
სხვა შემოსავალი	16	350,141	107,717
კომერციული ხარჯები	17	(2,043,060)	(1,168,499)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,893,367)	(2,794,834)
სხვა ხარჯები	19	(180,280)	(577,915)
საოპერაციო ზარალი		(3,479,201)	(2,495,046)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(324,233)	(297,832)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(65,409)	(374,940)
ზარალი დაბეგვრამდე		(3,868,843)	(3,167,818)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(24,107)
მთლიანი სრული ზარალი		(3,868,843)	(3,191,925)

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ოლამ ჯორჯია

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2016	3,439,500	(1,469,377)	1,970,123
სულ მთლიანი სრული ზარალი	-	(3,191,925)	(3,191,925)
31 დეკემბერი 2017	3,439,500	(4,661,302)	(1,221,802)
სულ მთლიანი სრული ზარალი	-	(3,868,843)	(3,868,843)
31 დეკემბერი 2018	3,439,500	(8,530,145)	(5,090,645)

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ოლამ ჯორჯია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგვრამდე	(3,868,843)	(3,167,818)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	631,629	482,810
მარაგების გაუფასურება	-	326,052
წმინდა ფინანსური ხარჯი	324,233	297,832
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	65,409	374,940
ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	(2,847,572)	(1,686,184)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:		
მარაგები	12,481,499	(11,613,658)
ავანსები	608,921	46,910
საგადასახადო აქტივი	(462,456)	124,016
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(182,977)	118,822
მიღებული ავანსები	(9,849,185)	16,304,534
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	-	2,064,504
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) ფულადი სახსრები	(251,770)	5,358,944
გადახდილი პროცენტები	(470,746)	-
მიღებული პროცენტები	15,599	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები	(706,917)	5,358,944
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(1,272,386)	(5,394,703)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(26,014)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,272,386)	(5,420,717)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	8,954,660	-
სესხების დაფარვა	(6,926,140)	-
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან	2,028,520	-
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	49,217	(61,773)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	355,416	506,192
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(161,498)	(89,003)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	243,135	355,416

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ოლამ ჯორჯია (შემდგომში - „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2016 წლის 17 აგვისტოს. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისში, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისში შემდეგი საიდენტიფიკაციო კოდით: 405162648.

კომპანიამ ოპერირება დაიწყო საქართველოში 2016 წლიდან, ზუგდიდში თხილის გადამამუშავებელი ერთ-ერთი წამყვანი ქარხნის შეძენით. შპს ოლამ ჯორჯია მუდმივად მზარდი კომპანიაა, გადამამუშავებელი/ზუნებრივი თხილის მიმართულებით და მიზნად ისახავს სხვადასხვა მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

კომპანიის 100%-იანი მფლობელია სინგაპურის Olam International Ltd.

კომპანიის იურიდიული მისამართია: აღმაშენებლის № 89, ქ. ზუგდიდი, საქართველო

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 3,868,843 ლარი და ამავე თარიღისათვის კომპანიას ჰქონდა 5,090,645 ლარის უარყოფითი კაპიტალი. ეს პირობები, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რადგან დამფუძნებელი კომპანია თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში, განაგდოს კომპანიის ფინანსური დახმარება და არ გამოითხოვოს თანხები იმგვარად, რომ საფრთხე შეუქმნას კომპანიის ლიკვიდურობასა და მომავალ საოპერაციო საქმიანობას.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია კომპანიას სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, და
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია გადავიდა ფასს 9 და ფასს 15-ზე 2018 წლის 1 იანვარის თარიღით. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე, ფასს 9-ზე და ფასს 15-ზე გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადანაგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. კომპანიას შეფასებით ფასს 9-ისა და ფასს 15-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს არსებითი გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ახალი სტანდარტების დანერგვიდან გამომდინარე კორექტირებებს.

სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული, ან არ შესაბამეა კომპანიას მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკას.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომელიც არ არის ძალაში შესული

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა დაცვა სავალდებულოა მომავალი საანგარიშგებო პერიოდებიდან და რომლებიც ორგანიზაციას არ დაუწერგავს ნაადრევად. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ფასს 16 იჯარა (სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომი პერიოდიდან)

ფასს 16 იჯარა - ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად. მთავარი ცვლილებები ეხებათ მოიჯარეებს. მათ ახალი სტანდარტი უწესებს იჯარების აღრიცხვის ერთ მოდელს რომელიც აღარ განასხვავებს საოპერაციო და ფინანსურ იჯარას შორის. შედეგად, საიჯარო ხელშეკრულებების უმრავლესობისთვის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იქნება „გამოყენების უფლება“ როგორც აქტივი და მისი შესაბამისი ვალდებულება. აქტივი შემდგომში აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალება ან საინვესტიციო ქონება და ვალდებულება ეტაპობრივად მცირდება იჯარისთვის გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთით. თუმცა, კომპანიებს აქვთ არჩევანის საშუალება და უფლება, რომ არ აღიარონ მოკლევადიანი იჯარები (რომელთა ვადაც 12 თვე ან ნაკლებია) და მცირე ღირებულების იჯარები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შედეგად, განსჯის მთავარი საგანი იცვლება და ხდება არა ის, თუ რა სახის იჯარაა, ფინანსური თუ საოპერაციო, არამედ, აკმაყოფილებს თუ არა შეთანხმება იჯარის განმარტებას. ფასს 16-ის მოქმედების სფერო ფართოა და ზოგი შეთანხმება აქტივების გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება განიხილებოდეს როგორც მომსახურების ხელშეკრულება შესაძლოა (რომლებიც შესაბამისად სამომავლოა და არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში) მოექცეს ფასს 16-ის მოქმედების სფეროში და აღიარდეს როგორც იჯარა. სისტემებისა და პროცესებში, ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, შესაძლოა საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ.

კომპანიას ჯერ კიდევ ავასებს ახალი სტანდარტის გავლენას მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სხვა

ორგანიზაციის მოლოდინით, სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ და რომელიც არ არის ძალაში შესული არ ექნება არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

ფასს 9-მ შეცვალა ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი სამი კატეგორიიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. 2018 წლის 1 იანვარს (ფასს 9-ის ძალაში შესვლის თარიღი) მენეჯმენტმა განსაზღვრა კომპანიას მფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივები რომელ ბიზნეს მოდელს მიეკუთვნებოდა და ყველა ფინანსური აქტივი დააკლასიფიცირა „ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით“ კატეგორიაში.

ამორტიზირებული ღირებულება

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით, ექვექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროსა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. კომპანიამ 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9-ის მიღების თარიღი) ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს: სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ექვექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ურთიერთგაქვითული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთგაქვითვალს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

- იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
- პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
- ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ყველა სახის სხვა დანახარჯით, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილის გამოცვლის დროს გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორებს. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება შემცირებულია მის ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ხარჯი კვლავ შემოსავლად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას, რომლითაც თავდაპირველად განისაზღვრა აქტივის გამოყენების ღირებულება, ან იცვლება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალური ღირებულება.

გაყიდვისგან მიღებული სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვის დროს მიღებული შემოსავლისა და აქტივის ჩამოწერილი საბალანსო ღირებულების ურთიერთშედარების შედეგად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	-
შენობები	20
მანქანა-დანადგარები	15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
მშენებარე კონსტრუქციები	-

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და შეიცავს დაკაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების ხარჯებს. კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების შესყიდვისას კაპიტალიზდება შესყიდვისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისთვის გაწეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა შენახვის ხარჯები აღიარდება ხარჯად მისი გაწევისთანავე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად 7 საანგარიშგებო წელზე. თუ არამატერიალური აქტივი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება და ხდება უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღიარება კი თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). მარაგების თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

წარმოების ყველა დანახარჯი, ნედლეული ან სხვა დახარჯული მარაგები ყოველთვიურად აკუმულირდება მარაგების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, პერსონალის ხარჯი, მარაგები, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ზედნადები ხარჯები. წარმოების პროცესში დახარჯული მარაგების ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ისინი აღიარებულია ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება როდესაც წარმოიქმნება მათი გადახდის ვალდებულება. გადასახადების კალკულაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შესაძლებელია ასევე კონტროლის გადაცემა მოხდეს პროდუქციის პორტში მიწოდებისას. კონტროლის გადაცემის საკითხი საჭიროებს მსჯელობას: როცა პროდუქციის ფიზიკური მიწოდება ხდება შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ აქვს უფლება ფიზიკურ ფლობაზე, წარმოექმნება მიმდინარე უფლება მისაღებ თანხაზე და ასევე, აღარ აქვს მნიშვნელოვანი რისკები პროდუქციასთან დაკავშირებით.

ამონაგები განისაზღვრება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით. ამონაგები წარმოდგენილია დღგ-ს, უკანდაბრუნებული საქონლის და ფასდაკლებების გარეშე.

კომპანია კონტრაქტებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს, როცა ყველა ჩამოთვლილი პირობა კმაყოფილდება:

- შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს გარიგებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების დონის საიმედოდ განსაზღვრა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.
- შესაძლებელია ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯებისა საიმედოდ განსაზღვრა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ხელშეკრულების მიხედვით ფასები თითოეული პროდუქტისთვის ფიქსირებულია, ხოლო დიდი მოცულობის შეკვეთებისთვის მცირდება ფასი. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების საფუძველზე შესაძლებელია შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება თითოეული პროდუქტისთვის (ხელშეკრულების მთლიანი თანხის გაყოფით შეკვეთის რაოდენობაზე). როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით. (თითოეული პროდუქტი არის განცალკევებადი და იყიდება ცალ-ცალკე).

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მეიჯარიდან კომპანიასათვის. საიჯარო გადასახდელები აღიარდება პერიოდის ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ დამატებითი დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასების, ბონუსებისა და არა-მონეტარული სარგებლის დარიცხვა ხდება იმ წელს, რომელიც დაკავშირებულია კომპანიაში მომუშავეთა მიერ გაწეულ შესაბამის სერვისებთან.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ოპერირებს („ფუნქციონალური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიას ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიას ფუნქციონალურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიას ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წარმოქმნილი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიას ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება მათი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება იმ პერიოდებს რა დროის განმავლობაშიც მოსალოდნელია ამ აქტივებიდან შემოსავლების მიღება, რომელთა გადახედვაც ხდება პერიოდულად. მომსახურების ვადის შეფასებაში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში და კონკრეტული პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მოხვედრილი ხარჯების ოდენობაში. ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში აღირიცხება პერსპექტიულად. დამატებითი დეტალები, ღირებულების აღრიცხვის ჩათვლით, მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების საწყისი აღიარება

ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 ითხოვს, რომ ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდეს რეალური ღირებულებით. სააღრიცხვო შეფასება გამოიყენება იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსასაზღვრად, რომელთათვისაც არ მოიძებნება აქტიური ბაზარი. შეფასების საფუძველია მსგავს არადაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციის ფასები და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების ანალიზი. დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციები და ნაშთები გაშიფრულია 22-ე შენიშვნაში.

5. წინა წლების რეკლასიფიკაცია

კომპანიამ გააკეთა წინა წლების რეკლასიფიკაციები 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ წარდგენილი მონაცემები უფრო სამართლიანად ასახავს ინფორმაციას ანგარიშგებაში, სრული შემოსავლების შესახებ:

	31 დეკემბერი 2017 რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2017 რეკლასიფიკირებული
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
კომერციული ხარჯები	(1,283,668)	115,169	(1,168,499)
საერთო და	(2,679,665)	(115,169)	(2,794,834)
ადმინისტრაციული ხარჯები			
სხვა შემოსავალი	-	107,717	107,717
სხვა ხარჯები	(470,198)	(107,717)	(577,915)

შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	მშენებარე კონსტრუქციები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	619,611	2,256,373	-	1,974,810	264,478	152,360	93,691	5,361,323
შემოსვლა	-	992,798	84,484	1,840,924	90,742	45,074	18,274	3,072,296
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	619,611	3,249,171	84,484	3,815,734	355,220	197,434	111,965	8,433,619
შემოსვლა	-	788,489	-	475,679	7,589	-	5,204	1,276,961
გადატანა	-	84,484	(84,484)	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	619,611	4,122,144	-	4,291,413	362,809	197,434	117,169	9,710,580
დაგროვილი ცვეთა								
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(36,323)	-	(36,350)	(13,756)	(7,179)	(3,482)	(97,090)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(135,032)	-	(222,839)	(64,155)	(31,559)	(22,319)	(475,904)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(171,355)	-	(259,189)	(77,911)	(38,738)	(25,801)	(572,994)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(181,463)	-	(306,974)	(71,357)	(39,504)	(22,856)	(622,154)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(352,818)	-	(566,163)	(149,268)	(78,242)	(48,657)	(1,195,148)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	619,611	3,077,816	84,484	3,556,545	277,309	158,696	86,164	7,860,625
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	619,611	3,769,326	-	3,725,250	213,541	119,192	68,512	8,515,432

შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გადამუშავებული თხილი	4,785,639	16,430,203
თხილის პასტა	4,640,051	3,268,416
თხილი	1,081,472	3,646,822
სხვა	761,850	404,794
სულ მარაგები	11,269,012	23,750,235

8. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად, კომპანიამ საგადასახადო უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ სახაზინო ანგარიშზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივი და ვალდებულება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით წარდგენილია დანეტებულიად, 666,859 ლარისა და 204,403 ლარის აქტივი, შესაბამისად.

კომპანიას საქმიანობიდან გამომდინარე საგადასახადო ბარათზე ძირითადად საგადასახადო აქტივი აქვს, საგადასახადო აქტივი შედგება ექსპორტისა წარმოქმნილი ჩასათვლელი დღგ-გან.

9. ავანსები

კომპანიის ავანსები შედგება თხილის მომწოდებლებისთვის გადარიცხული ავანსებისგან, რომელს ჩახურვაც სეზონზე თხილის მოწოდების შედეგად ხდება.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული სალაროში	3,906	56,869
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	114,928	80,142
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	124,301	218,405
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	243,135	355,416

11. მიღებული სესხები

				31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	პროცენტი	სესხის ძირი	პროცენტი	სესხის ძირი
Olam Treasury Pte Ltd	LIBOR + 1.75%	აშშ დოლარი	31 იანვარი 2019	-	9,001,407	-	-
	(12 თვის						
Olam International Ltd	საშუალო LIBOR + 250 Basis Points)	აშშ დოლარი	31 იანვარი 2019	341,453	2,042,245	458,282	8,717,569
სულ მიღებული სესხები				341,453	11,043,652	458,282	8,717,569

შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

10. მიღებული სესხები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად ასევე არაფულად ცვლილებებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	9,175,851	8,987,441
ფულადი ნაკადები	1,557,774	-
არაფულადი ნაკადები:		
პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	339,833	297,832
სავალუტო ოპერაციების ეფექტი	311,647	(109,422)
ნაშთი წლის ბოლოს	11,385,105	9,175,851

12. მიღებული ავანსები

კომპანია ავანსებს იღებს Olam International Ltd -გან ნედლეულის შესყიდვისას. მიღებული ავანსების მოცულობა დამოკიდებულია სეზონურობაზე. ბაზარზე თხილი ხელმისაწვდომია სექტემბრიდან თებერვლამდე პერიოდში. შესაბამისად, მიღებული ავანსების მოცულობა იზრდება დეკემბრისთვის და მცირდება, როცა პროდუქციის ექსპორტი ხდება.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შედგება ძირითადი საშუალებების შესყიდვით წარმოქმნილი ვალდებულებებისგან, რომელიც გაშიფრულია მე-6 შენიშვნაში.

14. ამონაგები

	2018	2017
ამონაგები:		
ექსპორტით გაყიდვებიდან	27,865,546	20,841,886
ადგილობრივი გაყიდვებიდან	3,887,702	1,454,286
სხვა	-	12,377
სულ ამონაგები	31,753,248	22,308,549

	2018	2017
ამონაგები:		
გადამუშავებული თხილის რეალიზაციიდან	17,669,148	5,508,613
თხილის პასტის რეალიზაციიდან	13,684,832	14,460,234
გაურჩეველი თხილის რეალიზაციიდან	399,268	2,339,702
სულ ამონაგები	31,753,248	22,308,549

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018	2017
თვითღირებულება:		
გადამუშავებული თხილი	(16,778,113)	(14,436,192)
თხილის პასტა	(13,285,765)	(4,691,935)
გაურჩეველი თხილი	(392,005)	(1,241,937)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(30,465,883)	(20,370,064)

შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

16. კომერციული ხარჯები

	2018	2017
ტრანსპორტირება	(1,855,535)	(1,028,508)
სხვა	(187,525)	(139,991)
სულ კომერციული ხარჯები	(2,043,060)	(1,168,499)

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასები და ბონუსები	(851,767)	(896,913)
შეკეთების და მოწყობის ხარჯები	(364,220)	(300,192)
საშუამავლო ხარჯები	(274,703)	(115,169)
ცვთა და ამორტიზაცია	(228,372)	(198,084)
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	(202,812)	(368,799)
ტრანსპორტირების ხარჯი	(166,431)	(87,902)
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა	(155,168)	(149,065)
დაზღვევის ხარჯები	(121,324)	(150,524)
მივლინების ხარჯები	(120,703)	(142,775)
საოფისე ხარჯი	(113,075)	(116,484)
კომუნიკაციის ხარჯები	(26,153)	(23,954)
ბანკის საკომისიო	(18,489)	(35,028)
სხვა ხარჯები	(250,150)	(209,945)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,893,367)	(2,794,834)

18. სხვა ხარჯები

	2018	2017
მარაგების გაუფასურება	-	(326,052)
სალაროდან დაკარგული თანხის ზარალი	(70,407)	-
სხვა	(109,873)	(251,863)
სულ სხვა ხარჯები	(180,280)	(577,915)

19. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

სამართლებრივი დავები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი და დავა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას აქტივობებიდან ან საჩივრებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო ოპერაციებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულია ანარიცხი.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიას ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოვოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიას ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიას ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიას მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიას რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიას კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ. ამ ოპერაციებით, კომპანია ქვემოთ მოცემული ფინანსური რისკების ზეგავლენის ქვეშ ექცევა:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიასთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	239,229	298,547
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	239,229	298,547

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს საბანკო ანგარიშებზე.

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიას საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიას მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება საკუთარი კაპიტალის და კომპანიის დამფუძნებლების შენატანების მეშვეობით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისთვის არ აღემატება 3 თვეს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიას მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიას ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიხმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	120,391	115,475	7,269
სულ ფინანსური აქტივები	120,391	115,475	7,269
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	11,385,105	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,117	9,737	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,117	11,394,842	-
ღია საბალანსო პოზიცია	104,274	(11,279,367)	7,269

შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	137,630	216,162	1,624
სულ ფინანსური აქტივები	137,630	216,162	1,624
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	9,175,851	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	103,715	9,895	502,682
სულ ფინანსური ვალდებულებები	103,715	9,185,746	502,682
ღია საბალანსო პოზიცია	33,915	(8,969,584)	(501,058)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიას მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ზეგავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
20% ზრდა	(2,255,873)	1,454	(1,793,917)	(100,212)
20% შემცირება	2,255,873	(1,454)	1,793,917	100,212

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საბაზრო გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი ზრდა ან შემცირება არ ახდენს არსებით გავლენას კომპანიის სრული შემოსავლისა და კაპიტალის ანგარიშგებაზე 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

21. კაპიტალის მართვა

კომპანიას მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიას ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ უნივერსიტეტთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს უნივერსიტეტში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს უნივერსიტეტზე;

(ბ) კომპანიას ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	დამფუძნებელი	126,317	-
მიღებული ავანსები	დამფუძნებელი	14,643,263	24,492,448
მიღებული სესხები	დამფუძნებელი	2,383,698	8,717,569
მიღებული სესხები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	9,001,407	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	9,923	224,005
	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ		
ამონაგები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	27,865,546	20,841,886
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	(501,949)	(347,386)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	(43,530)	(74,451)

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რომლის წარდგენა უნდა მოხდეს ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ოლამ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს

ელა ჯუგაიძე



შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....3

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძვლები 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 19
5. წინა წლების რეკლასიფიკაცია..... 19
6. ძირითადი საშუალებები 20
7. მარაგები 21
8. საგადასახადო აქტივი 21
9. ავანსები 21
10. ფული და ფულის ეკვივალენტები..... 21
11. მიღებული სესხები 21
12. მიღებული ავანსები 22
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 22
14. ამონაგები 22
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 22
16. კომერციული ხარჯები 23
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები..... 23
18. სხვა ხარჯები..... 23
19. პირობითი ვალდებულებები და აქტივები 23
20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა..... 24
21. კაპიტალის მართვა..... 26
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან..... 27
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ივანე ჯეჯეშვილი



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ოლამ ჯორჯიას დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ოლამ ჯორჯიას (შემდგომში - კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ვინაიდან ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2018 წელს, არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას წლის დასაწყისისათვის და სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოვახერხეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღში მარაგების რაოდენობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ მარაგების საწყისი ნაშთები გავლენას ახდენს ოპერაციის შინაარსსა და შედეგებზე, ჩვენ ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას საჭიროა თუ არა კორექტირებები 2017 წლის ოპერაციების შედეგებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე. აღნიშნულ საკითხზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის მოდიფიცირებულია. ჩვენი მოსაზრება აგრეთვე მოდიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის რიცხვებისა და შესაბამისი რიცხვების შესადარისობაზე.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიასგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ ორგანიზაციის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 3,868,843 ლარი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის და ამავე თარიღისათვის ორგანიზაციას ჰქონდა 5,090,645 ლარის უარყოფითი კაპიტალი. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ორგანიზაციის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ივანე ჯიქია

მ. ვაშაძე



ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიას ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გააწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინაობა ჩვენს პროფესიულ სპეკტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგვემოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე დასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიას უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით: თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის

ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შეცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

9 დეკემბერი 2019

ელა ჯუანია

მ.ო. ვაჟა



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	8,515,432	7,860,625
არამატერიალური აქტივები		17,155	26,629
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,532,587	7,887,254
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	11,269,012	23,750,235
საგადასახადო აქტივი	8	666,859	204,403
ავანსები	9	251,984	865,481
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	243,135	355,416
სულ მიმდინარე აქტივები		12,430,990	25,175,535
სულ აქტივები		20,963,577	33,062,789
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,439,500	3,439,500
დაგროვილი ზარალი		(8,530,145)	(4,661,302)
სოფ კაპიტალი		(5,090,645)	(1,221,802)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	-	9,175,851
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	9,175,851
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	11,385,105	-
მიღებული ავანსები	12	14,643,263	24,492,448
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	25,854	616,292
სულ მიმდინარე ვალდებულებები		26,054,222	25,108,740
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20,963,577	33,062,789

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 9 დეკემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი _____

უფუქ ოზონგუნი

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული აუდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ილია უფანი

ქ. ვუნი



შპს ოლამ ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის


(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	14	31,753,248	22,308,549
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(30,465,883)	(20,370,064)
საერთო მოგება		1,287,365	1,938,485
სხვა შემოსავალი	16	350,141	107,717
კომერციული ხარჯები	17	(2,043,060)	(1,168,499)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,893,367)	(2,794,834)
სხვა ხარჯები	19	(180,280)	(577,915)
საოპერაციო ზარალი		(3,479,201)	(2,495,046)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(324,233)	(297,832)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(65,409)	(374,940)
ზარალი დაზღვევამდე		(3,868,843)	(3,167,818)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(24,107)
მთლიანი სრული ზარალი		(3,868,843)	(3,191,925)

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

რეზ. უკუაქ

რეზ. უკუაქ



შპს ოლამ ჯორჯია

კაპიტალში ცვლრლებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2016	3,439,500	(1,469,377)	1,970,123
სულ მთლიანი სრული ზარალი	-	(3,191,925)	(3,191,925)
31 დეკემბერი 2017	3,439,500	(4,661,302)	(1,221,802)
სულ მთლიანი სრული ზარალი	-	(3,868,843)	(3,868,843)
31 დეკემბერი 2018	3,439,500	(8,530,145)	(5,090,645)

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ილია ჯეჟანია



შპს ოლამ ჯორჯია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგვრამდე	(3,868,843)	(3,167,818)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	631,629	482,810
მარაგების გაუფასურება	-	326,052
წმინდა ფინანსური ხარჯი	324,233	297,832
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	65,409	374,940
ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	(2,847,572)	(1,686,184)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:		
მარაგები	12,481,499	(11,613,658)
ავანსები	608,921	46,910
საგადასახადო აქტივი	(462,456)	124,016
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(182,977)	118,822
მიღებული ავანსები	(9,849,185)	16,304,534
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	-	2,064,504
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) ფულადი სახსრები	(251,770)	5,358,944
გადახდილი პროცენტები	(470,746)	-
მიღებული პროცენტები	15,599	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები	(706,917)	5,358,944
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(1,272,386)	(5,394,703)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(26,014)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,272,386)	(5,420,717)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესები	8,954,660	-
სესების დაფარვა	(6,926,140)	-
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან	2,028,520	-
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	49,217	(61,773)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	355,416	506,192
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(161,498)	(89,003)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	243,135	355,416

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ივო ჯეანია



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ოლამ ჯორჯია (შემდგომში - „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2016 წლის 17 აგვისტოს. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისში, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისში. შემდეგი საიდენტიფიკაციო კოდით: 405162648.

კომპანიამ ოპერირება დაიწყო საქართველოში 2016 წლიდან, ზუგდიდში თბილისის გადამამუშავებელი ერთ-ერთი წამყვანი ქარხნის შეძენით. შპს ოლამ ჯორჯია მუდმივად მზარდი კომპანიაა, გადამამუშავებული/ზუნებრივი თბილისის მიმართულებით და მიზნად ისახავს სხვადასხვა მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

კომპანიის 100%-იანი მფლობელია სინგაპურის Olam International Ltd.

კომპანიის იურიდიული მისამართია: აღმაშენებლის № 89, ქ. ზუგდიდი, საქართველო

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ზუღალოტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ზუღალოტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 3,868,843 ლარი და ამავე თარიღისათვის კომპანიას ჰქონდა 5,090,645 ლარის უარყოფითი კაპიტალი. ეს პირობები, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რადგან დამფუძნებელი კომპანია თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში, განაგრძოს კომპანიის ფინანსური დახმარება და არ გამოითხოვოს თანხები იმგვარად, რომ საფრთხე შეუქმნას კომპანიის ლიკვიდურობასა და მომავალ საოპერაციო საქმიანობას.

ილა ჯორჯია



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია კომპანიას სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, და
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია გადავიდა ფასს 9-ზე და ფასს 15-ზე 2018 წლის 1 იანვარის თარიღით. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე, ფასს 9-ზე და ფასს 15-ზე გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. კომპანიას შეფასებით ფასს 9-ისა და ფასს 15-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს არსებითი გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ახალი სტანდარტების დანერგვიდან გამომდინარე კორექტირებებს.

სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული, ან არ შეესაბამება კომპანიას მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკას.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომელიც არ არის ძალაში შესული გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა დაცვა სავალდებულოა მომავალი საანგარიშგებო პერიოდებიდან და რომლებიც ორგანიზაციას არ დაუწერგავს ნაადრევად. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ფასს 16 იჯარა (სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომი პერიოდიდან)

ფასს 16 იჯარა - ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად. მთავარი ცვლილებები ეხებათ მოიჯარეებს. მათ ახალი სტანდარტი უწესებს იჯარების აღრიცხვის ერთ მოდელს რომელიც აღარ განასხვავებს საოპერაციო და ფინანსურ იჯარას შორის. შედეგად, საიჯარო ხელშეკრულებების უმრავლესობისთვის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იქნება „გამოყენების უფლება“ როგორც აქტივი და მისი შესაბამისი ვალდებულება. აქტივი შემდგომში აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალება ან საინვესტიციო ქონება და ვალდებულება ეტაპობრივად მცირდება იჯარისთვის გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთით. თუმცა, კომპანიებს აქვთ არჩევანის საშუალება და უფლება, რომ არ აღიარონ მოკლევადიანი იჯარები (რომელთა ვადაც 12 თვე ან ნაკლებია) და მცირე ღირებულების იჯარები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შედეგად, განსჯის მთავარი საგანი იცვლება და ხდება არა ის, თუ რა სახის იჯარაა, ფინანსური თუ საოპერაციო, არამედ, აკმაყოფილებს თუ არა შეთანხმება იჯარის განმარტებას. ფასს 16-ის მოქმედების სფერო ფართოა და ზოგი შეთანხმება აქტივების გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება განიხილებოდეს როგორც მომსახურების ხელშეკრულება შესაძლოა (რომლებიც შესაბამისად სამომავლოა და არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში) მოექცეს ფასს 16-ის მოქმედების სფეროში და აღიარდეს როგორც იჯარა. სისტემებისა და პროცესებში, ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, შესაძლოა საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ.

კომპანიას ჯერ კიდევ აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სხვა

ორგანიზაციის მოლოდინით, სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ და რომელიც არ არის ძალაში შესული არ ექნება არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

იქნა შეტანილი



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

ფასს 9-მ შეცვალა ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი სამი კატეგორიიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. 2018 წლის 1 იანვარს (ფასს 9-ის ძალაში შესვლის თარიღი) მენეჯმენტმა განსაზღვრა კომპანიას მფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივები რომელ ბიზნეს მოდელს მიეკუთვნებოდა და ყველა ფინანსური აქტივი დააკლასიფიცირა „ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით“ კატეგორიაში.

ამორტიზებული ღირებულება

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწმებს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროსა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. კომპანიამ 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9-ის მიღების თარიღი) ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს: სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ი.ბ.ა. ჯორჯია

მ. ვ. ჯორჯია



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ურთიერთგაქვითული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთჩაითვალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

- იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
- პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
- ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ყველა სახის სხვა დანახარჯით, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილის გამოცვლის დროს გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორებს. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება შემცირებულია მის ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ხარჯი კვლავ შემოსავლად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას, რომლითაც თავდაპირველად განისაზღვრა აქტივის გამოყენების ღირებულება, ან იცვლება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალური ღირებულება.

გაყიდვისგან მიღებული სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვის დროს მიღებული შემოსავლისა და აქტივის ჩამოწერილი საბალანსო ღირებულების ურთიერთშედარების შედეგად.

იღბა ჭიქანია

ქ.



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითად საშუალებებზე. ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	-
შენობები	20
მანქანა-დანადგარები	15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
მშენებარე კონსტრუქციები	-

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და შეიცავს დაკავშირებული კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების ხარჯებს. კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების შესყიდვისას კაპიტალიზდება შესყიდვისა და საშუალო მდგომარეობაში მოყვანისთვის გაწეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა შენახვის ხარჯები აღიარდება ხარჯად მისი გაწევისთანავე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად 7 საანგარიშგებო წელზე. თუ არამატერიალური აქტივი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება და ხდება უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომ აღიარება კი თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). მარაგების თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

წარმოების ყველა დანახარჯი, ნედლეული ან სხვა დახარჯული მარაგები ყოველთვიურად აკუმულირდება მარაგების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, პერსონალის ხარჯი, მარაგები, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ზედნადები ხარჯები. წარმოების პროცესში დახარჯული მარაგების ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

760 560000

მარ 3 2019



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

საგაქრო და სხვა ვალდებულებები

საგაქრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ისინი აღიარებულია ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება როდესაც წარმოიქმნება მათი გადახდის ვალდებულება. გადასახადების კალკულაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ერბა ქუჩა

მ. გ. გუგუშვილი



3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შესაძლებელია ასევე კონტროლის გადაცემა მოხდეს პროდუქციის პორტში მიწოდებისას. კონტროლის გადაცემის საკითხი საჭიროებს მსჯელობას: როცა პროდუქციის ფიზიკური მიწოდება ხდება შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ აქვს უფლება ფიზიკურ ფლობაზე, წარმოექმნება მიმდინარე უფლება მისაღებ თანხაზე და ასევე, აღარ აქვს მნიშვნელოვანი რისკები პროდუქციისთან დაკავშირებით.

ამონაგები განისაზღვრება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით. ამონაგები წარმოდგენილია დღგ-ს, უკანდაბრუნებული საქონლის და ფასდაკლებების გარეშე.

კომპანია კონტრაქტებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს, როცა ყველა ჩამოთვლილი პირობა კმაყოფილდება:

- შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს გარიგებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების დონის საიმედოდ განსაზღვრა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.
- შესაძლებელია ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ხელშეკრულების მიხედვით ფასები თითოეული პროდუქტისთვის ფიქსირებულია, ხოლო დიდი მოცულობის შეკვეთებისთვის მცირდება ფასი. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების საფუძველზე შესაძლებელია შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება თითოეული პროდუქტისთვის (ხელშეკრულების მთლიანი თანხის გაყოფით შეკვეთის რაოდენობაზე). როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით. (თითოეული პროდუქტი არის განცალკევებადი და იყიდება ცალ-ცალკე).

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ხარჯების გან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომხმარებელი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

7-ლი აქტივი

2



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მეიჯარიდან კომპანიასათვის. საიჯარო გადასახდელები აღიარდება პერიოდის ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ დამატებითი დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასების, ბონუსებისა და არა-მონეტარული სარგებლის დარიცხვა ხდება იმ წელს, რომელიც დაკავშირებულია კომპანიაში მომუშავეთა მიერ გაწეულ შესაბამის სერვისებთან.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ოპერირებს („ფუნქციონალური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიას ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიას ფუნქციონალურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიას ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

ნაიკა ჯიგანია

ბი. ვ. ი. ი.



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წარმოქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიას ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

ილია ჯუგანიძე

27
ფერდინანდ
NOTARY MAIA PUTKARADZE
19001026534

შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

6. პირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენიშვნები	მშენებარე კონსტრუქციები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	619,611	2,256,373	-	1,974,810	264,478	152,360	93,691	5,361,323
შემოსვლა	-	992,798	84,484	1,840,924	90,742	45,074	18,274	3,072,296
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	619,611	3,249,171	84,484	3,815,734	355,220	197,434	111,965	8,433,619
შემოსვლა	-	788,489	-	475,679	7,589	-	5,204	1,276,961
გადატანა	-	84,484	(84,484)	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	619,611	4,122,144	-	4,291,413	362,809	197,434	117,169	9,710,580
დაგროვილი ცვლათა								
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(36,323)	-	(36,350)	(13,756)	(7,179)	(3,482)	(97,090)
წლის ცვლითის ხარჯი	-	(135,032)	-	(222,839)	(64,155)	(31,559)	(22,319)	(475,904)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(171,355)	-	(259,189)	(77,911)	(38,738)	(25,801)	(572,994)
წლის ცვლითის ხარჯი	-	(181,463)	-	(306,974)	(71,357)	(39,504)	(22,856)	(622,154)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(352,818)	-	(566,163)	(149,268)	(78,242)	(48,657)	(1,195,148)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	619,611	3,077,816	84,484	3,556,545	277,309	158,696	86,164	7,860,625
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	619,611	3,769,326	-	3,725,250	213,541	119,192	68,512	8,515,432

გზო ჟიგანი



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გადამუშავებული თხილი	4,785,639	16,430,203
თხილის პასტა	4,640,051	3,268,416
თხილი	1,081,472	3,646,822
სხვა	761,850	404,794
სულ მარაგები	11,269,012	23,750,235

8. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად, კომპანიამ საგადასახადო უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ საბაზინო ანგარიშზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივი და ვალდებულება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით წარდგენილია დანეტებულიად, 666,859 ლარისა და 204,403 ლარის აქტივი, შესაბამისად.

კომპანიას საქმიანობიდან გამომდინარე საგადასახადო ბარათზე ძირითადად საგადასახადო აქტივი აქვს, საგადასახადო აქტივი შედგება ექსპორტისას წარმოქმნილი ჩასათვლელი დღგ-გან.

9. ავანსები

კომპანიის ავანსები შედგება თხილის მომწოდებლებისთვის გადარიცხული ავანსებისგან, რომელის ჩახურვაც სეზონზე თხილის მოწოდების შედეგად ხდება.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული სალაროში	3,906	56,869
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	114,928	80,142
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	124,301	218,405
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	243,135	355,416

11. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
				პროცენტი	სესხის ძირი	პროცენტი	სესხის ძირი
Olam Treasury Pte Ltd	LIBOR + 1.75%	აშშ დოლარი	31 იანვარი 2019	-	9,001,407	-	-
	(12 თვის საშუალო LIBOR + 250 Basis Points)	აშშ დოლარი	31 იანვარი 2019	341,453	2,042,245	458,282	8,717,569
სულ მიღებული სესხები				341,453	11,043,652	458,282	8,717,569

იღბა ჯეფანი

მ.



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

10. მიღებული სესხები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად ასევე არაფულად ცვლილებებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	9,175,851	8,987,441
ფულადი ნაკადები	1,557,774	-
არაფულადი ნაკადები:		
პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	339,833	297,832
სავალუტო ოპერაციების ეფექტი	311,647	(109,422)
ნაშთი წლის ბოლოს	11,385,105	9,175,851

12. მიღებული ავანსები

კომპანია ავანსებს იღებს Olam International Ltd -გან ნედლეულის შესყიდვისას. მიღებული ავანსების მოცულობა დამოკიდებულია სეზონურობაზე. ბაზარზე თხილი ხელმისაწვდომია სექტემბრიდან თებერვლამდე პერიოდში. შესაბამისად, მიღებული ავანსების მოცულობა იზრდება დეკემბრისთვის და მცირდება, როცა პროდუქციის ექსპორტი ხდება.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შედგება ძირითადი საშუალებების შესყიდვით წარმოქმნილი ვალდებულებებისგან, რომელიც გაშიფრულია მე-6 შენიშვნაში.

14. ამონაგები

	2018	2017
ამონაგები:		
ექსპორტით გაყიდვებიდან	27,865,546	20,841,886
ადგილობრივი გაყიდვებიდან	3,887,702	1,454,286
სხვა	-	12,377
სულ ამონაგები	31,753,248	22,308,549

	2018	2017
ამონაგები:		
გადამუშავებული თხილის რეალიზაციიდან	17,669,148	5,508,613
თხილის პასტის რეალიზაციიდან	13,684,832	14,460,234
გაურჩეველი თხილის რეალიზაციიდან	399,268	2,339,702
სულ ამონაგები	31,753,248	22,308,549

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018	2017
თვითღირებულება:		
გადამუშავებული თხილი	(16,778,113)	(14,436,192)
თხილის პასტა	(13,285,765)	(4,691,935)
გაურჩეველი თხილი	(392,005)	(1,241,937)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(30,465,883)	(20,370,064)

იხილეთ 50-51

მ. ვ. მ. მ.



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

16. კომერციული ხარჯები

	2018	2017
ტრანსპორტირება	(1,855,535)	(1,028,508)
სხვა	(187,525)	(139,991)
სულ კომერციული ხარჯები	(2,043,060)	(1,168,499)

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასები და ბონუსები	(851,767)	(896,913)
შეკეთების და მოწყობის ხარჯები	(364,220)	(300,192)
საშუამავლო ხარჯები	(274,703)	(115,169)
ცვეთა და ამორტიზაცია	(228,372)	(198,084)
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	(202,812)	(368,799)
ტრანსპორტირების ხარჯი	(166,431)	(87,902)
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა	(155,168)	(149,065)
დაზღვევის ხარჯები	(121,324)	(150,524)
მივლინების ხარჯები	(120,703)	(142,775)
საოფისე ხარჯი	(113,075)	(116,484)
კომუნიკაციის ხარჯები	(26,153)	(23,954)
ბანკის საკომისიო	(18,489)	(35,028)
სხვა ხარჯები	(250,150)	(209,945)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,893,367)	(2,794,834)

18. სხვა ხარჯები

	2018	2017
მარაგების გაუფასურება	-	(326,052)
სალაროდან დაკარგული თანხის ზარალი	(70,407)	-
სხვა	(109,873)	(251,863)
სულ სხვა ხარჯები	(180,280)	(577,915)

19. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

სამართლებრივი დავები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი და დავა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას აქტივობებიდან ან საჩივრებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო ოპერაციებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულია ანარიცხი.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიას ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიას ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიას ბოლო სამი წლის მონაცემების მიმოხილვის

იქნა შეტანილი

გვერდი 23 - 24

შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში) /

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიას მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიას რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიას კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ. ამ ოპერაციებით, კომპანია ქვემოთ მოცემული ფინანსური რისკების ზეგავლენის ქვეშ ექვევება:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - საფალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.


საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიასთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	239,229	298,547
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	239,229	298,547

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს საბანკო ანგარიშებზე.

ილა ჯორჯია



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება კომპანიას საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიას მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება საკუთარი კაპიტალის და კომპანიის დამფუძნებლების შენატანების მეშვეობით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისთვის არ აღემატება 3 თვეს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიას მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიას ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	120,391	115,475	7,269
სულ ფინანსური აქტივები	120,391	115,475	7,269
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	11,385,105	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,117	9,737	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,117	11,394,842	-
ღია საბალანსო პოზიცია	104,274	(11,279,367)	7,269

ქრისტეანა

ქრისტეანა



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	137,630	216,162	1,624
სულ ფინანსური აქტივები	137,630	216,162	1,624
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	9,175,851	-
საფაქრო და სხვა ვალდებულებები	103,715	9,895	502,682
სულ ფინანსური ვალდებულებები	103,715	9,185,746	502,682
ღია საბალანსო პოზიცია	33,915	(8,969,584)	(501,058)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიას მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ზეგავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
20% ზრდა	(2,255,873)	1,454	(1,793,917)	(100,212)
20% შემცირება	2,255,873	(1,454)	1,793,917	100,212

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საბაზრო გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი ზრდა ან შემცირება არ ახდენს არსებით გავლენას კომპანიის სრული შემოსავლისა და კაპიტალის ანგარიშგებაზე 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

21. კაპიტალის მართვა

კომპანიას მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიას ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანია შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს უცხოური მფლობელებს ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ილა ქუანი

მ. კუანი



შპს ოლამ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ უნივერსიტეტთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს უნივერსიტეტში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს უნივერსიტეტზე;

(ბ) კომპანიას ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	დამფუძნებელი	126,317	-
მიღებული ავანსები	დამფუძნებელი	14,643,263	24,492,448
მიღებული სესხები	დამფუძნებელი	2,383,698	8,717,569
მიღებული სესხები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	9,001,407	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	9,923	224,005
	საწარმო საერთო		
ამონაგები	კონტროლის ქვეშ საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	27,865,546	20,841,886
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	(501,949)	(347,386)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	(43,530)	(74,451)

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რომლის წარდგენა უნდა მოხდეს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ი.ა. ხუბუა

მ. ა. ხუბუა



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N191506158



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

13.12.2019 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

მაია ფუტკარაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ზუგდიდი გამარჯვების ქ. N 3. I სართული

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

253977

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

26615472560419



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ცხრაშეტი წლის ცამეტ დეკემბერს მე ნოტარიუს მაია ფუტკარაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ზუგდიდი, გამარჯვების ქ. №3 მომმართა თარჯიმანმა ელზა ჯიგანამ (პ.მ № 62006012219, პ/მ № 131A76458), რომელმაც წარმოადგინა დოკუმენტი (ელექტრონული ფორმით მიღებული ასლი) და მოითხოვა ამ საბუთის მის ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება სანოტარო წესით. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. თარჯიმანი გაფრთხილებულ იქნა ჩემს მიერ თარჯიმნობის გამომრიცხავ გარემოებებზე და თარგმანის სისწორეზე პასუხისმგებლობის შესახებ. თარჯიმანმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მის მიერ შესრულებულ თარგმანს, რასაც ვამოწმებ. მე შევამოწმე მისი უფლებამოსიანობა (დიპლომი ავ № 0000414) და ვადასტურებ რომ იგი ნამდვილად უფლებამოსილია თარგმნოს.

გადახდილია ნოტარიუსის სამღაური: 54.00 ლარი ხელმოწერის დამოწმებისათვის + 2 ლარი (ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისთვის) + 9,72 ლარი დღგ- საქართველო საგადასახადო კოდექსის 169 -ე მუხლის საფუძველზე, სულ 65,72 ლარი/ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სამღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება № 507-ის 31.3 მ.39.1) საფუძველზე

On the thirteenth of December two thousand and nineteen year, I, Maia Putkaradze notary, in my notary bureau, which is located in the following address: C. Zugdidi, Gamarjveba str. №3, first floor, applied Elza Jigania (personal N 62006012219, ID Card № 131A76458) submitted document (el. photocopy) translated above mentioned document from English into Georgian and required to prove the reality of her signature on the above mentioned document by notarial rules. I checked up the personality of Mrs. E. Jigania according to ID submitted by her and her capacity for translating deeds (diploma av # 0000414) and am confident that she is empowered for this action. Translator was warned about her responsibilities for the accurate translation. Followed she undersigned this document personally in my presence.


Paid notary service fee in amount of 54.00 Gel + 2.00 GEL is paid (for the registration in electronic registry) + 9.72 VAT According to Georgian tax payment rule paragraph 169. In total 65.72 Gel. According to №507 regulation for the notarial activities of the notary fee and regulated payment by Georgian notary chamber their payment rules and service terms on the base of the order dated 29.12.2011, 31.3 39.1 3Paragraph)

ნოტარიუსი მაია ფუტკარაძე

Notary

Maia Putkaradze

Handwritten signature of Maia Putkaradze



01.12.2019 00:05



შპს ოლამ ჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

(2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

„შპს ოლამ ჯორჯია“-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 9 დეკემბერს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

12 დეკემბერი 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

„შპს ოლამ ჯორჯია“-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 9 დეკემბერს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

12 დეკემბერი 2019

შინაარსი

1. შპს ოლამ ჯორჯიას შესახებ	2
2. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	2
3. რისკები და გამანეიტრალებელი სტრატეგიები	4
4. კვლევები და ახალი პროდუქტის განვითარება	6
5. ფილიალები.....	6
6. საკუთარი აქციების შესყიდვა	6
7. გარემო, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	6
8. დასაქმებულთა, სოციალური და საზოგადოებრივი განვითარება	6
9. კორუფცია და თაღლითობის შემთხვევები	7

1. შპს ოლამ ჯორჯიას შესახებ

შპს ოლამ ჯორჯია დაარსდა 2016 წლის 17 აგვისტოს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საწარმო მდებარეობს შემდეგ მისამართზე: აღმაშენებლის № 89, ქ. ზუგდიდი, საქართველო.

შპს ოლამ ჯორჯია არის აგრობიზნესში წამყვანი საერთაშორისო კომპანია - Olam International-ის შვილობილი კომპანია. წარმოების პრობები ყველა კომპანიაში, რომელიც Olam International Group- ის წევრია, მათ შორის ოლამ ჯორჯია, სრულად აკმაყოფილებს ინდუსტრიაში არსებული საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. კომპანია უზრუნველყოფს ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას, რომელიც ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო კომპანიების მიერ. გარდა ამისა, კომპანია ახორციელებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ქართულ საწარმოებში და ხელს უწყობს ქართული პროდუქციის ცნობადობის ამაღლებას მსოფლიო ბაზარზე.

კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- 100% - Public Company Limited by Shares Olam International limited, Singapore (Reg. Number: 199504676H; Singapore); 100% წილის მფლობელია - Olam International limited, სინგაპური (რეგისტრაციის ნომრით: 199504676H, სინგაპური)

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია დაარსდა ძირითადად თხილის პროდუქციის წარმოების მიზნებისთვის. შპს ოლამ ჯორჯია, რომელმაც თხილის წარმოება დაიწყო 2016 წლიდან, არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი თხილის მწარმოებელი კომპანია საქართველოში.

კომპანიის მთავარი მიზანია აწარმოოს საუკეთესო ხარისხის თხილის პროდუქცია რომელიც გამოიყენება საკვებ ინდუსტრიაში. კომპანია ძირითადად აწარმოებს გადამამუშავებულ თხილს, საკვებ თხილს, თხილის ზეთსა და პასტას. ყველა პროდუქტი გადის ხარისხის მკაცრ კონტროლს.

2. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 3,868,843 ლარი და ამავე თარიღისათვის კომპანიას ჰქონდა 5,090,645 ლარის უარყოფითი კაპიტალი. ეს პრობები, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რადგან დამფუძნებელი კომპანია თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში, განაგდოს კომპანიის ფინანსური დახმარება და არ გამოითხოვოს თანხები იმგვარად, რომ საფრთხე შეუქმნას კომპანიის ლიკვიდურობასა და მომავალ საოპერაციო საქმიანობას.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2018	2017
ამონაგები	31,753,248	22,308,549
რეალიზაციის პროდუქციის თვითღირებულება	(30,465,883)	(20,370,064)
საერთო მოგება	1,287,365	1,938,485
სხვა შემოსავალი	350,141	107,717
კომერციული ხარჯები	(2,043,060)	(1,168,499)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,893,367)	(2,794,834)
სხვა ხარჯები	(180,280)	(577,915)
საოპერაციო ზარალი	(3,479,201)	(2,495,046)
წმინდა ფინანსური ხარჯი	(324,233)	(297,832)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(65,409)	(374,940)
ზარალი დაბეგრამდე	(3,868,843)	(3,167,818)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(24,107)
მთლიანი სრული ზარალი	(3,868,843)	(3,191,925)

2. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8,515,432	7,860,625
არამატერიალური აქტივები	17,155	26,629
სულ გრძელვადიანი აქტივები	8,532,587	7,887,254
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	11,269,012	23,750,235
საგადასახადო აქტივი	666,859	204,403
ავანსები	251,984	865,481
ფული და ფულის ეკვივალენტები	243,135	355,416
სულ მიმდინარე აქტივები	12,430,990	25,175,535
სულ აქტივები	20,963,577	33,062,789
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	3,439,500	3,439,500
დაგროვილი ზარალი	(8,530,145)	(4,661,302)
სულ კაპიტალი	(5,090,645)	(1,221,802)
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	9,175,851
სულ გრძელვადიანი აქტივები	-	9,175,851
მიმდინარე ვალდებულებები		
მიღებული სესხები	11,385,105	-
მიღებული ავანსები	14,643,263	24,492,448
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,854	616,292
სულ მიმდინარე ვალდებულებები	26,054,222	25,108,740
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	20,963,577	33,062,789

ძირითადი კოეფიციენტები

	2018	2017
სესხის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი (DSCR)	-0,31	-0,27
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,48	1,01
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1,24	0,76

სესხის დაფარვის კოეფიციენტი (DSCR) - წმინდა საოპერაციო მოგება / სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები.

ლიკვიდურობის კოეფიციენტი - მთლიანი ვალდებულებები / მატერიალური აქტივების წმინდა ღირებულება

2. მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)*(მონაცემები წარმოდგენილია ტონებში)*

	2018	2017	ცვლილება	ზრდის პროცენტული წილი %
ექსპორტით გაყიდვები	1,817	1,748	69	3,95%
ადგილობრივი გაყიდვები	377	79	298	378,04%
სულ გაყიდვები	2,194	1,827	367	

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2018 (ლარი)	2017 (ლარი)	ცვლილება
ადგილობრივი გაყიდვები	3,887,702	1,454,286	2,433,416
მიღებული სესხები	11,385,105	9,175,851	2,209,254
ექსპორტით გაყიდვები	27,865,546	20,854,263	7,011,283
ინვესტიციები ძირითად საშუალებებში (ისტორიული ღირებულება)	8,515,432	7,860,625	654,807
ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები*	795,620	292,061	503,559
გაცემული დივიდენდები	0	0	0

* ეს თანხები პირდაპირ არის გადარიცხული სახელმწიფოს სახაზინო ანგარიშზე, დარიცხული გადასახადების უმეტესი ნაწილი გამოიქვითება საგადასახადო ანგარიშზე არსებული ზედმეტობიდან.

შპს ოლამ ჯორჯიას ძირითადი ბაზარი მოიცავს ბულგარეთს, საფრანგეთს, გერმანიას, რუსეთს, სლოვაკეთს.

2017 წელთან შედარებით, 2018 წელს კომპანის აქვს ზრდა გაყიდვების მიმართულებით.

ფინანსური ანგარიშგებები აუდიტირებულია შპს ბიდიოს მიერ, რომელიც არის დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო კომპანია ბიდიოს წევრი კომპანია. ფინანსური მონაცემები აღებულია ფასს-ების შესაბამისად აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებიდან.

3. რისკები და გამანეიტრალებელი სტრატეგიები**➤ მაკროეკონომიკური რისკები**

- შესაძლო ემბარგო რუსეთის მხრიდან;
- სახელმწიფო რეგულაციები;
- ფორს-მაჟორი

ძირითადი გამანეიტრალებელი სტრატეგიები

- სავაჭრო ემბარგოს რისკი – ევროკავშირის კონტროლი საიმპორტო პროდუქტზე. ოლამ ჯორჯია პროდუქციას აწარმოებს შეკვეთების მიხედვით და ცდილობს შეამციროს ღია კონტრაქტები და რაოდენობები მოკლევადიან პერიოდში.
- სახელმწიფო რეგულაციები - იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო რეგულაციები გავლენას მოახდენს საოპერაციო საქმიანობაზე, ალტერნატიული საშუალებებით მოხდება კონტრაქტების მიწოდება ოლამის ქარხნებიდან მსოფლიოს მასშტაბით.
- ფორს-მაჟორი - საოპერაციო საქმიანობა დაზღვეულია ფორსმაჟორული შემთხვევებისგან შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებით.

3. რისკები და გამანეიტრალებელი სტრატეგიები (გაგრძელება)

➤ ფინანსური რისკები

- უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ ფინანსურ ბაზარზე, შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის სესხებზე და წარმოქმნას გაურკვევლობები ფინანსური ბაზრებზე წვდომაზე.
- ფულადი სახსრების ბრუნვა;

ძირითადი გამანეიტრალებელი სტრატეგიები

- უცხოური ვალუტის ჰეჯირების შესაბამისი პოლიტიკა;
- სალაროში არსებული ნაღდი ფულის დათვლა ხორციელდება ყოველი სამუშაო დღის ბოლოს.

➤ რეგულაციებთან დაკავშირებული რისკი

- გამკაცრებულ რეგულაციებთან შეუსაბამობამ შესაძლოა წარმოქმნას გარკვეული ვალდებულებები.

ძირითადი გამანეიტრალებელი სტრატეგიები

- რეგულაციებთან შესაბამისობაზე კონცენტრირება. კომპანიის ყოველთვის მოქმედებს არსებულ რეგულაციებთან შესაბამისად, მარეგულირებელი მოთხოვნების დარღვევა მკაცრად აკრძალულია და ყოველთვის ხორციელდება კონტროლი.

➤ საოპერაციო რისკები

- ხანძარი/ წყლის დაზიანება/ წყალდიდობა
- ხარისხი
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ძირითადი გამანეიტრალებელი სტრატეგიები

- ხანძარი/ წყლის დაზიანება/ წყალდიდობა – მიღებულია შესაბამისი უსაფრთხოების ზომები. ამასთანავე, კომპანიის აქვს დაზღვევა მსგავსი რისკებისგან.
- ხარისხი - პროდუქციისა და ოპერაციების ხარისხი მკაცრად კონტროლირდება შპს ოლამ ჯორჯიას ხარისხის დეპარტამენტის მიერ.
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება - ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მკაცრად კონტროლირდება შპს ოლამ ჯორჯიას ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ.
- კომპანია ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოების ზომები კომპანიის მასშტაბით

➤ საბაზრო რისკები

- ფასების დაცემა და ზრდა
- ფასების კონტროლი
- მოსავალთან დაკავშირებული რისკები

ძირითადი გამანეიტრალებელი სტრატეგიები

- ფასების დაცემა და ზრდა - კომპანია ცდილობს, რომ არ შევიდეს არასტაბილურ ბაზარზე.
- ფასები კონტროლი - ფასების მექანიზმი და კონტროლი მკაცრად არის დაცული ყოველთვის.
- მოსავალთან დაკავშირებული რისკები - მოსავალთან დაკავშირებული რისკების გასანეიტრალებლად კომპანიას აქვს კონულსტაციები აგრონომებთან ყოველი სეზონის დაწყების წინ.

3. რისკები და გამანეიტრალებელი სტრატეგიები (გაგრძელება)

➤ სოციალური რისკები

- ნებისმიერ შრომით დავას ან სოციალურ არეულობას იმ რეგიონებში, სადაც კომპანია ოპერირებს, შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს მის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე;
- ხელმძღვანელობიდან ერთი ან რამდენიმე ადამიანის წასვლამ, ან კომპანიის უუნარობამ რომ ვერ შეინარჩუნოს და მოიზიდოს ახალი თანამშრომლები, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე.

ძირითადი გამანეიტრალებელი სტრატეგიები

- ურთიერთობების დამყარება მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ადგილობრივ გავლენიან ხალხთან;
- მენეჯმენტის წახალისება, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის გაგრძელებას კომპანიში.
- თანამშრომლებთან დაკავშირებული პოლიტიკის შექმნა კადრების მოძიებასა და შენარჩუნებაზე.

4. კვლევები და ახალი პროდუქტის განვითარება

ინოვაცია არაფერია ხარისხის გარეშე, ამიტომ ჩვენ დიდ რესურსებს ვხარჯავთ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენმა კომპანიამ დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნები. პროდუქტის განვითარება განპირობებულია მომხმარებლის მოთხოვნილებიდან გამომდინარე.

ოლამ ჯორჯია დიდ ყურადღებას აქცევს ტექნიკური მომსახურების უნარს და მისი აღჭურვილობის ხარისხობრივ შენარჩუნებას. კომპანია კარგად არის აღჭურვილი კომპიუტერული აღჭურვილობით კომპანიის საქმიანობის შესაბამისად.

5. ფილიალები

შპს ოლამ ჯორჯია ოპერირებს ზუგდიდში და არ აქვს ფილიალები.

6. საკუთარი აქციების შესყიდვა

კომპანიას არ შეუსყიდია საკუთარი აქციები მიმდინარე წელს.

7. გარემო, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

კომპანიის მიდგომაა, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს დაზიანებები და დაავადებები და კომპანია სრულად აკმაყოფილებს მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

- შპს ოლამ ჯორჯია ფლობს სერთიფიკატს ISO: 45001, რომელიც გამოქვეყნდა 2018 წლის მარტში და არის სტანდარტი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემებისთვის (OH&S). ISO 45001 - ის მიზანია დაზიანებებისა და დაავადებების შემცირება. სტანდარტი ემყარება OHSAS 18001, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, მათ შორის ILO OSH 2001-ს, და ეროვნულ სტანდარტებს.

8. დასაქმებულთა, სოციალური და საზოგადოებრივი განვითარება

ოლამ ჯორჯიას სჯერა, რომ მნიშვნელოვანია ადამიანური კაპიტალის განვითარება. თანამშრომლები, ორიენტირებულნი არიან რომ მიიღონ უფრო მეტი ცოდნა შიდა ტრენინგებიდან, რომ ჰქონდეთ მეტი კვალიფიკაცია სამუშაოს შესრულებისთვის.

ხელმძღვანელობა ყოველთვის მზადაა ახალი თანამშრომლებისთვის უზრუნველყოს პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. კომპანიას სჯერა, რომ გამოცდილი კადრების შენარჩუნებით უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების განვითარებას.

პერსპექტივებითა და განვითარების გეგმებით, შპს ოლამ ჯორჯია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნაში, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკისა და კეთილდღეობის განვითარებაში. ამასთან, კომპანიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში სათანადო გადასახადის გადახდის გზით.

სოციალური მიზნებისთვის 2019 წელს კომპანიამ ორგანიზება გაუწია, რომ ჩატარებულიყო ჭადრაკის ტურნირი ზუგდიდში. ტურნირში მონაწილეობდნენ კომპანიის თანამშრომლებიც.

9. კორუფცია და თაღლითობის შემთხვევები

კომპანია აწარმოებს საქმიანობას უმაღლესი ეთიკური სტანდარტებით და ადგილი არ აქვს რაიმე კორუფციულ გარიგებას ან ქრთამს. კომპანია მოელის, რომ მისი მომხმარებლები, მომწოდებლები და მასთან დაკავშირებული ყველა სხვა პარტნიორი შესაბამისობაში იქნებიან კომპანიის პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება კომპანიის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 12 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

/ _____ / უფუქ ოზონგუნი

ხელმძღვანელობა ყოველთვის მზადაა ახალი თანამშრომლებისთვის უზრუნველყოს პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. კომპანიას სჯერა, რომ გამოცდილი კადრების შენარჩუნებით უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების განვითარებას.

პერსპექტივებითა და განვითარების გეგმებით, შპს ოლამ ჯორჯია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნაში, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკისა და კეთილდღეობის განვითარებაში. ამასთან, კომპანიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში სათანადო გადასახადის გადახდის გზით.

სოციალური მიზნებისთვის 2019 წელს კომპანიამ ორგანიზება გაუწია, რომ ჩატარებულიყო ჭადრაკის ტურნირი ზუგდიდში. ტურნირში მონაწილეობდნენ კომპანიის თანამშრომლებიც.

9. კორუფცია და თაღლითობის შემთხვევები

კომპანია აწარმოებს საქმიანობას უმაღლესი ეთიკური სტანდარტებით და ადგილი არ აქვს რაიმე კორუფციულ გარიგებას ან ქრთამს. კომპანია მოელის, რომ მისი მომხმარებლები, მომწოდებლები და მასთან დაკავშირებული ყველა სხვა პარტნიორი შესაბამისობაში იქნებიან კომპანიის პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება კომპანიის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 12 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

უფუქ ოზონგუნი